ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №59

09.06.2020 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჟორჟოლიანი, ერეკლე კუხიანიძე, ლევან ხაბეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ირაკლი ნადირაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **ქვარა ჩართოლანი** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **ა. ტრაპაიძე, შ. ღარიბაშვილი, მ. მეგრელიშვილი, ა. ბიბილაშვილი, ირ. ანდღულაძე** (ქ. თბილისში, „დიღმის ჭალების" მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებლების წარმომადგენლები - დაინტერესებული პირები).

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: ლევან ჯაფარიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ჯაფარიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 22 მაისის №12-032014324-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 28 მაისის №12-032014984-03) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 29 მაისის №12-03201501-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

4. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის №12-032015641-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

5. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის №12-032015642-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი -საჯარო სამართლის
იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

ურბანული განვითარების სამსახურის უფროსის მოადგილე/

სხდომის თავმჯდომარემ ლ. ჯაფარიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2020 წლის 9 ივნისის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, „დიღმის ჭალების" მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლებმა ითხოვეს სიტყვა „დიღმის ჭალებში" მიმდინარე პროცესების შესახებ და გამოთქვეს სურვილი, დამსწრე საზოგადოებისთვის წარედგინათ მათ მიერ გადაღებული და დამუშავებული ფოტო-ვიდეო მასალა არსებული მდგომარეობის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ მოქალაქეთა მიერ ინიცირებული საკითხის პრეზენტაციის მიზნით, საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს, ქალბატონ ანა ტრაპაიძეს ნება დართო საზოგადოებისთვის წარედგინა მათ მიერ მოპოვებული ვიდეო-მასალა.

ფოტო-ვიდეო მასალის წარდგენის შემდეგ, ქ-ნმა ა. ტრაპაიძემ დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია „დიღმის ჭალების" მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ინერტული მასალის მოპოვების, ასევე, სამშენებლო ნარჩენების განთავსების პრობლემის შესახებ.

დაბოლოს, ქ-ნმა ა. ტრაპაიძემ მოსახლეობის სახელით ითხოვა ყველა იმ პროცესში ჩართვა და მონაწილეობა, რომელიც „დიღმის ჭალების" ტერიტორიის საკითხთან იქნება დაკავშირებული.

ქალბატონი ა. ტრაპაიძის გამოსვლის შემდეგ, დამსწრე საზოგადოებას მიმართა სხდომის თავმჯომარემ, ბატონმა ლ. ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე სხდომის დღის წესრიგით „დიღმის ჭალების" მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა საინიციატივო ჯგუფის წერილის განხილვა არ არის გათვალისწინებული. ხოლო მათი განცხადება განხილვის პროცესშია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოხდება შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. ასევე, ბ-ნ ლ. ჯაფარიძემ ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ინტერესების დაცვის საკითხზე და გამოთქვა მზაობა მათთან ერთად ადგილზე მოხდეს დასმული მწვავე საკითხების შესწავლა და მოყვანილი ფაქტების გადამოწმება. ასევე, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ ისაუბრა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ იმ ნორმებზე, რომლითაც წესრიგდება სხდომაზე გაჟღერებული საკითხები და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა გაიზარდოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების უფლებამოსილება და გამკაცრდეს შესაბამისი სანქციები.

ბატონმა ლ. ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას დამატებით წარუდგინა, ხოლო საინიციატივო ჯგუფის წევრებს გადასცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შემუშავებული „დიღმის ჭალების“ საქალაქო მნიშვნელობის პარკის პროექტი, რომელიც, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, სავარაუდოდ, უნდა განხორციელდეს 2020-2021 წლებში.

„დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: ბატონმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა, ბ-ნმა ირ. ნადირაძემ, ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა, ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ.

ბ-ნმა გ. ტყემალაძემ საკრებულოს მხრიდან თანამშრომლობის მზაობა გამოთქვა და აღნიშნა, რომ საკითხის დეტალური შესწავლა მოხდება, რის შემდეგაც კომისია კიდევ ერთხელ შეიკრიბება.

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა ისაუბრა „დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესებზე და აღნიშნა, რომ საჭიროა დროული მოქმედება. ასევე, საჭიროა საკითხის განხილვას დაესწრონ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უფლებამოსილი ხელმძღვანელი პირები და საქალაქო სამსახურის უფროსები, კონკრეტულად კი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ქ-ნი მ. ბითაძე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი ბ-ნი გ. გიგაშვილი და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ბ-ნი ლ. ჯღარკავა.

ბ-ნმა ირ. ნადირაძემ გარდა „დიღმის ჭალებში“ მიმდინარე პროცესებისა და გარემოზე მავნე ზემოქმედების ფაქტებისა, ასევე ისაუბრა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორიების გასხვისების საკითხზეც და აღნიშნა, რომ საჭიროა დროული მოქმედება, რათა დიღმის ჭალების ტერიტორიის გასხვისება არ მოხდეს.

ბ-ნმა ლ. ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ „დიღმის ჭალებში“ უკანონო და უნებართვო საქმიანობასთან დაკავშირებით უფლებამოსილი მუნიციპალური სამსახურის მიერ გამოწერილია 63 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჯარიმა. ხოლო ხე-მცენარეებზე ზემოქმედების ფაქტებზე რეაგირება მომხდარია. მასალები შესასწავლად გადაგზავნილია შესაბამის უფლებამოსილ სამსახურებში და ზიანის ოდენობის დადგენის შემდეგ, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის ან სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად მოხდება სათანადო ზომების მიღება.

ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ ისაუბრა მოქალაქეთა ინტერესების დაცვასა და მოქმედი სამართლებრივი ნორმების შესახებ. მან აღნიშნა, რომ საჭიროა დროული და სათანადო ღონისძიებების გატარება.

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, საჭიროა საკითხის დეტალური შესწავლა.

„დიღმის ჭალების“ მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების მიერ სხდომის დატოვების შემდეგ, კომისიის წევრებმა განიხილეს კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 22 მაისის №12-032014324-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 20 მაისის №20.520.663 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 3 წინადადება - №01200313102-67, №01200702609-67, №01200694896-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200313102-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისი, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში, ნაკვეთი №09/100-ში/ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა 109-ში/ქალაქ თბილისში, გმანიერის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი 09/104-ში /ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქ. № 111-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.569; №01.14.16.009.278) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1), ასევე, გამწვანებული ტერიტორიის რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 4 თებერვლის №01200354318 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს კერძო საკუთრებას და ფაქტობრივი მდგომარეობით №01.14.16.009.278 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია შენობა-ნაგებობა (სკოლა).

ასევე, ფრაგმენტული ცვლილების თავიდან აცილების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით, საპროექტო მიწის ნაკვეთების მიმდებარედ, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ №01.14.16.009.357 საკადასტრო ერთეულზე ხორციელდება სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სპეციალური ზონა 1-ით (სპეზც-1) ცვლილება და №01.14.16.009.287 საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) კორექტირება. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2020 წლის 13 აპრილის №61-0120104817 წერილი, რომლის მიხედვით, სააგენტო თანახმაა განხორციელდეს დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისი, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის დასახლებაში, ნაკვეთი №09/100-ში/ქალაქი თბილისი, ფერმწერთა ქუჩა 109-ში/ქალაქ თბილისში, გმანიერის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი 09/104-ში /ქალაქ თბილისში, ფერმწერთა ქ. № 111-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №72.16.17.569; №01.14.16.009.278) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) ცვლილება, ხოლო №01.14.16.009.357 საკადასტრო ერთეულზე სამრეწველო ზონა 1-ის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და №01.14.16.009.287 საკადასტრო ერთეულზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) კორექტირება მისაღებია.

ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200313102-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200702609-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.215, №01.17.12.003.221, №01.17.12.003.219, №01.17.12.003.220, №01.17.12.003.224, №01.17.12.003.222, №01.17.12.003.216, №01.17.12.003.244, №01.17.12.003.238, №01.17.12.003.236, №01.17.12.003.235, №01.17.12.003.2376, №01.17.12.003.243,

№01.17.12.003.240) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირის №13-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.208, №01.17.12.003.210, №01.17.12.003.209) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 თებერვლის №25 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მოსკოვის გამზირი №13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.17.12.003.215, №01.17.12.003.221, №01.17.12.003.219, №01.17.12.003.220, №01.17.12.003.224, №01.17.12.003.222, №01.17.12.003.216, №01.17.12.003.244, №01.17.12.003.238, №01.17.12.003.236, №01.17.12.003.235, №01.17.12.003.2376, №01.17.12.003.243, №01.17.12.003.240) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200702609-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01200694896-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.16.011.004) მოთხოვნილია სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 30 მარტის №01200901079 წერილით, სამსახური თანახმაა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალზე ფიქსირდება მსგავსი ფუნქციის განაშენიანება. ტერიტორია არ გამოირჩევა ღირებული ხე-ნარგავებით.

ასევე, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და სატყეო ზონაც.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200694896-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 22 მაისის №12-032014324-03 **წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01200313102-67, №01200702609-67, №01200694896-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 28 მაისის №12-032014984-03)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური

განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 27 მაისის №20.534.695 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 4 წინადადება - №01200373853-67, №01193403346-67, №012008167-67, №01200911452-67.

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200373853-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილი №245ა-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.13.001.004) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება და საცხოვრებელი ზონის (სზ) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და ნაწილზე მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 25 თებერვლის №01200563782 წერილის მიხედვით, არსებული გენერალური გეგმით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) მინიჭებულია საკადასტრო ერთეულის იმ მონაკვეთისთვის, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არ ითავსებს და შესაბამისად, მომავალშიც ვერ აითვისებს თავისი ზონისთვის დამახასიათებელ ფუნქციას. შესაბამისად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ასევე, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ფაქტობრივ გზაზე.

ხარვეზის გასწორების, ფაქტობრივად არსებულ გზაზე მორგებისა და ლოგიკური კავშირის შენარჩუნების მიზნით, ხორციელდება №01.18.13.001.004 საკადასტრო კოდით

რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის დასავლეთ ნაწილში საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200373853-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01193403346-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.531) ნაწილზე მოთხოვნილია არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულის უმეტეს ნაწილზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2) და მცირე ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 19 მარტის №18-01200791768 წერილით სამსახური არ არის წინააღმდეგი წარმოდგენილ საკადასტრო ერთეულზე გავრცელდეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილების შესაბამისად არსებული ფუნქციური ზონები.

მიწის ნაკვეთზე ასევე განთავსებულია შენობა-ნაგებობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.034.531) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ექვემდებარება ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01193403346-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№012008167-67 განცხადებით**, ქ. თბილისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩა №115თ-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.03.12.916) მოთხოვნილია სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 7 აპრილის №01200981657 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა №81.03.12.916 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №012008167-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01200911452-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.465) მოთხოვნილია სატყეო და სარეკრეაციო ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით გავრცელებული იყო სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა (სზ). უფლებამოსილი კანონიერი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნულ საკადასტრო ტერიტორიაზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება. აგრეთვე, ფრაგმენტული სახით ფუნქციური ზონის ცვლილების აცილების მიზნით, მიზანშეწონილია მიმდებარედ

არსებულ კერძო საკუთრებაში მყოფ მიწის ნაკვეთებსაც დაუბრუნდეს სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

№01200911452-67 განცხადებასთან დაკავშირებით **შეკითხვები დასვეს:**

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - საკადასტრო ერთეულებზე არსებული გამწვანების გამო სატყეო და სარეკრეაციო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილების მიზანშეწონილობისა და ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში საკადასტრო ერთეულების შემდგომი განვითარების შესახებ.

ბ-ნმა რ. სოხაძემ - საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, დაინტერესებული პირების (მიწის ნაკვეთის მესაკუთრეების) მიერ ტერიტორიების სამშენებლოდ გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა, რომლის განმარტებით, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით, საკადასტრო ერთეულებზე გავრცელებული იყო სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3) და მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის განახლებული გენერალური გეგმის მიხედვით აღნიშნულ მიწის ერთეულებზე გავრცელდა სატყეო და სარეკრეაციო ზონები, რამაც შეზღუდა მესაკუთრეთა უფლება საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთები გამოიყენონ შეხედულებისამებრ. სარეკრეაციო ზონა 3-ით ცვლილების შემთხვევაში, მართალია, დაინტერესებულ პირს (მესაკუთრეს/მფლობელს) წარმოეშობა მიწის ნაკვეთის სარეკრეაციო ზონა 3-ით განვითარების (მათ შორის, სამშენებლოდ განვითარების) უფლება, მაგრამ ეს ავტომატურად არ ნიშნავს მათთვის სამშენებლო ნებართვის შეთანხმება-გაცემას, რადგან ყოველი კონკრეტული განაცხადი განიხილება ინდივიდუალურად, მათ შორისაა, მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების მოჭრის ან გადარგვის საკითხი შეთანხმდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურთან. ამ ეტაპზე, მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებს რა მიმართულებით სურთ საკუთრებაში არსებული ტერიტორიების განვითარება, უცნობია.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - აღნიშნულ ტერიტორიაზე მწვანე საფარის მდგომარეობის ადგილზე შემოწმებისა და ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების რაოდენობის შეფასების გარეშე, ასევე, ტერიტორიის შემდგომი განვითარების შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების მიზანშეწონილობის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ **კენჭისყრაზე დასვა:**

დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე №01200911452-67 **განცხადების** განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №01200911452-67 განცხადებით** მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.006.465) და მის მიმდებარედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე სატყეო და სარეკრეაციო ზონის (სზ) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილების საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.
2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 28 მაისის **№12-032014984-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 3 წინადადება - №01200373853-67, №01193403346-67, №012008167-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 29 მაისის №12-03201501-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 27 მაისის №20.535.694 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ" საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 2 წინადადება - №01200443405-67, №01200523453-67).

- განმარტებითი ბარათის „ა" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01200443405-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა №3-ში; ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.198; №01.12.12.001.393, №01.12.12.001.394) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქ. №3; ვ. ნინუას ქუჩა №3-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.196, №01.12.12.001.197, №01.12.12.001.208, №01.12.12.001.218, №01.12.12.001.198, №01.12.12.001.393, №01.12.12.001.394) მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის №8 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ტრიკოტაჟის ქუჩა №3-ში; ქალაქ თბილისში, ვ. ნინუას ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.001.198; №01.12.12.001.393, №01.12.12.001.394) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200443405-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01200523453-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.218) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. ასევე, მიმდებარედ არსებულ №01.10.18.006.219, №01.10.18.005.052 და №01.10.18.006.227 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, სოფელი ლისისკენ მიმავალი გზის მარჯვენა მხარეს არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.218, ნაკვ. №01/10) მრავალფუნქციური კომპლექსის („თი-ბი-სი“ სათაო ოფისი, კაფე, რესტორანი, სპორტული დარბაზები, სპა, საცურაო აუზი და ა.შ.) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 20 დეკემბრის №420 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

გზის ლოკალური კავშირის შენარჩუნების მიზნით, მიმდებარედ არსებულ №01.10.18.006.219, №01.10.18.005.052 და №01.10.18.006.227 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.006.218) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად, ასევე, მიმდებარედ არსებულ №01.10.18.006.219, №01.10.18.005.052 და №01.10.18.006.227 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კორექტირება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01200523453-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 29 მაისის **№12-03201501-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 2 წინადადება - №01200443405-67, №01200523453-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის №12-032015641-03 წერილი)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული (მათ შორის, ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეული) ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 3 ივნისის №20.574.728 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 6 წინადადება - №0119226856-67, №0120099600-67, №01193361901-67, №0120147225-67, №0120132112-67, №0120154805-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№0119226856-67 განცხადებით**, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია; ქალაქ თბილისში, დემეტრე თავდადებულის ქუჩა №35-37-39-51; ქალაქ თბილისში, დიღმის დასახლება, VI მიკრორაიონი, კორპუსი 10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლების ჩრდილოეთით, დემეტრე თავდადებულის ქუჩასა და მუხათგვერდის სასაფლაოს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 აგვისტოს №231 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღომი, მიმდებარე ტერიტორია; ქალაქ თბილისში დემეტრე თავდადებულის ქუჩა №35-37-39-51; ქალაქ თბილისში, დიღმის დასახლება, VI მიკრორაიონი, კორპუსი 10-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0119226856-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№0120099600-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, სანდრო ეულის ქუჩა №5; ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №10; ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №3გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.543) მოთხოვნილია ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. №10, სანდრო ეულის №15-ის მიმდებარე ტერიტორიის საცხოვრებელი მიკრო-უბნის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაში ცვლილების შეტანისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ნოემბრის №446 განკარგულებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, საბურთალოს საცხოვრებელი რაიონი, კვარტალი V, სანდრო ეულის ქუჩა №5; ქალაქ თბილისში, ჯიქიას ქუჩა №10; ქალაქ თბილისში, ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №3გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე

(საკადასტრო კოდი: №01.14.05.007.543) ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120099600-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - **4**
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - **1**

- განმარტებითი ბარათის „ბ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01193361901-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.21.05.903-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2019 წლის 4 დეკემბერის №0119338281 წერილის თანახმად, სამსახური არ არის წინააღმდეგი აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №01193361901-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№0120147225-67 განცხადებით,** ქ. თბილისში, ც. დადიანის ქუჩა №263; ქალაქ თბილისში, ზედაზენის ქუჩა №4 კორპუსის [illegible] ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, ც. დადიანის ქუჩა №263; ქალაქი თბილისი, ზედაზენის ქუჩა №4 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.12.11.037.023; №01.12.11.037.019, №01.12.11.037.075, №01.12.11.037.076, №01.12.11.037.020, №01.12.11.037.100) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის №105 განკარგულებით დამტკიცებულია საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმა, რომელიც საპროექტო ტერიტორიაზე ადგენს ფუნქციურ ზონებს და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ც. დადიანის ქუჩა №263; ქალაქ თბილისში, ზედაზენის ქუჩა №4 კორპუსის მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120147225-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავი შეიკავა - 0

- **განმარტებითი ბარათის „ე" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №0120132112-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.052, №01.10.18.011.090, №01.10.18.011.094, №01.10.18.011.096) მოთხოვნილია არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით №01.10.18.011.052 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5), №01.10.18.011.090 საკადასტრო მიწის ნაკვეთზე - ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ) და ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), ხოლო №01.10.18.011.097 საკადასტრო ერთეულზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და მცირე ნაწილზე - საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

№0120132112-67 განცხადებასთან დაკავშირებით, კომისიის წევრების მიერ მოთხოვნილი იქნა დამატებითი ინფორმაცია (დასაბუთება) ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე.

№0120132112-67 განცხადებასთან დაკავშირებით, შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ - საკადასტრო ერთეულებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში საკადასტრო

ერთეულების შემდგომი განვითარების, ასევე, საკადასტრო მიწის ნაკვეთების გასხვისებისა და საკადასტრო ერთეულებზე სამშენებლო ნებართვის გაცემის შესახებ.

დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა მომხსენებელმა, ქალბატონმა ქვარა ჩართოლანმა, რომლის განმარტებით, დაინტერესებულმა მხარემ (შპს „ლისი საიდი") №4516202 ბრძანებით მიიღო მშენებლობის ნებართვა №01.10.18.011.052 საკადასტრო ერთეულზე. ხოლო №01.10.18.011.090, №01.10.18.011.094, №01.10.18.011.097 საკადასტრო მიწის ნაკვეთები შეიძინა 2019-2020 წლებში. კომპანიას აღებული აქვს ვალდებულება მიმდებარე ტერიტორიაზე მოაწყოს საზოგადოებრივი - სარეკრეაციო სივრცე.

სამშენებლო პროექტირებისა და საზოგადოებრივი სკვერის ერთობლივად /კომპლექსურად განვითარების მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარემ წარმოადგინა ახალი საპროექტო ესკიზი და ტერიტორიის განვითარების წინადადება, რომლის მიხედვითაც ითხოვეს მათ საკუთრებაში არსებული ყველა საკადასტრო ერთეული გაერთიანებას და საცხოვრებელი ზონა 5-ის გავრცელებას.

აზრი გამოთქვეს:

ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ, ბ-ნმა გ. ტყემალაძემ და ბ-ნმა რ. სოხაძემ - №01.10.18.011.052, №01.10.18.011.090, №01.10.18.011.094, №01.10.18.011.096 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენამდე, საკითხის განხილვის გადადების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, ბატონმა ლევან ჯაფარიძემ კენჭისყრაზე დასვა:

დამატებითი შესწავლისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე **№0120132112-67 განცხადების** განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

- განმარტებითი ბარათის „ვ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№0120154805-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.17.13.040.067) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონის (სზ) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს 2020 წლის 2 ივნისის №16-01201543363 წერილის თანახმად, ტრანსპორტის განვითარების სააგენტო თანახმაა

წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

საპროექტო არეალის მიმდებარედ ფიქსირდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები. ტერიტორიის ჩრდილოეთითა და დასავლეთით ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონისთვის დამახასიათებელი ფუნქციების მქონე შენობა-ნაგებობები. ტერიტორიის სამხრეთით ფიქსირდება დაბალი ინტენსივობის განაშენიანება. არსებული სახით ფუნქციური ზონის ცვლილება არ იქნება ამოვარდნილი მიმდებარედ არსებული განაშენიანებიდან.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის შემდეგ, №0120154805-67 განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

1. **გადადებულ იქნას №0120132112-67** განცხადებით მოთხოვნილი ქალაქ თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.10.18.011.052, №01.10.18.011.090, №01.10.18.011.094, №01.10.18.011.096) არსებული სატყეო ზონისა და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) საცხოვრებელი ზონა 5-ით (სზ-5) ცვლილების საკითხის განხილვა **დამატებითი შესწავლის მიზნით,** საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე.
2. **დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის **№12-032015641-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №0119226856-67, №0120099600-67, №01193361901-67, №0120147225-67, №0120154805-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის №12-032015642-03 წერილი)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ქ. ჩართოლანმა.

მომხსენებლის (ქ. ჩართოლანი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა არის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ქალაქის საუკეთესო ინტერესების დაცვას ემსახურება, მიღებული გადაწყვეტილებით, რიგ შემთხვევაში, იზღუდება ცალკეული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა უფლებები სამშენებლო პირობების გაუარესების თვალსაზრისით.

კერძო და საჯარო ინტერესების გაწონასწორების პრინციპის გათვალისწინებით, მუნიციპალური სახსრების რაციონალური გამოყენების მიზნიდან გამომდინარე, ზონის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლება შესაძლებელია აღდგენილ იქნას სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემით ან მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის გზით, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 3 ივნისის №20.573.723 განკარგულებით და დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის), ასევე, განმარტებითი ბარათის სახის სახით წარმოდგენილია 1 წინადადება - №01200443391-67.

- **№01200373853-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.372) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1)ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 13 მარტის №01200732396 წერილის მიხედვით, სამსახური თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პოზიციის და საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე განაშენიანების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.023.372) სარეკრეაციო ზონის (რზ) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

ცვლილებას ასევე ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონაც.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცნობის **შემდეგ, №01200373853-67** განცხადებასთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

დადებითად შეფასდეს და რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2020 წლის 4 ივნისის **№12-032015642-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01200373853-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ლევან ჯაფარიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ლევან ჯაფარიძე